პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა, 25 ნოემბერი, 1956 წელი. № 95 (1005) ფასი 30 კაპ.

გამოცემის მე-18 წელი

## იქ, სადაც სამშობლო მოგვიწოდებს

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ნათლად დაანახვა ის ნაკლოვანი მხარეები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეაფერხეს საქართველოს სპორტული დელეგაციის ბრძოლის შანსები უკეთესი ადგილისათვის. რაში მდგომარეობდა ეს ნაკლოვანებები, შეგვიძლია თუ არა ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისათვის? აი საკითხი, რომლის გარშემოც ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ამ წერილში.

მთავარი ნაკლი — ეს იყო სათადარიგო რეზერვის სიმცირე. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ბევრ სახეობაში ჩვენი გუნდები დაბალი შედეგებით გამოვიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვყავდა სათანადოდ მომზადებული, მტკიცე რეზერვი. ეს ითქმის კალათბურთზე, მძლეოსნობაზე, კრივზე... რატომ მოხდა ასე? რატომ შევურიგდით ჩამორჩენას სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიც რამდენიმე წლის წინათ დიდი წარმატებები გვქონდა? ჩვენ გვგონია, რომ ეს გამოწვეულია ზოგიერთი გუნდისა და ცალკეული სპორტსმენის დროებითი წარმატებით გატაცებით. მუშაობის ასეთმა მავნე პრაქტიკამ ჩვენ ბევრჯერ გვაგემა დამარცხების სიმწარე. ბევრჯერ ჩაგვაფიქრა... თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი მთავარი მიზეზი ყველასათვის ცნობილია — მიუტევებლად ნელი ტემპით იზრდება საიმედო ცვლა, რომელიც დროულად შეცვლის ასაკგადაცილებულ ან მწყობრიდან გამოსულ სპორტსმენებს.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ არა გვყავს ნიჭიერი, კარგი სპორტული მომავლის მქონე ახალგაზრდები. ან, თუ გვყავს, ისინი თითზე ჩამოსათვლელია? არა, ჩვენ გვყავს მეტად მზარდი და საიმედო ახალგაზრდობა, მხოლოდ საჭიროა გულმოდგინედ ვეძებოთ მათ შორის საუკეთესონი, ისეთები, რომლებიც მწვრთნელთა მეთვალყურეობის ქვეშ ვარჯიშის შემდეგ შეცვლიან, მაგალითად, ფეხბურთელ ა. ღოღობერიძეს, მოჭიდავე ვ. ბალავაძეს, ძალოსან რ. ჩიმიშკიანს და სხვებს.

ზოგიერთი მწვრთნელი ისე დახელოვნდა სხვის მიერ აღზრდილ სპორტსმენთა მითვისებაში, რომ სხვა საქმეზე თითის განძრევასაც კი არ ფიქრობს, არ აინტერესებს ძირეული კოლექტივების ცხოვრების გაცნობა, მათი საქმიანობის შესწავლა. ერთი სიტყვით, გაურბის შავ სამუშაოს. იგი შესანიშნავად გრძნობს თავს თბილისში — ამეცადინებს ორ-სამ ჯგუფს, სხვას არ აწუხებს, მაგრამ განგაშს ასტეხს, თუ მის მყუდროებას დაარღვევენ. მწვრთნელები ბევრია თბილისში. ეს გასაგებია — აქ თავმოყრილია რესპუბლიკის სპორტული ბირთვი, სპორტული ნაღები, მას მოვლა-პატრონობა უნდა. მაგრამ ისეც არ იქნება, რომ პერიფერიები, რომლებიც ძირითადად ჰკვებავენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს, კვალიფიციური მწვრთნელების ყურადღების გარეშე დავტოვოთ.

საქართველოსა და საკავშირო სპარტაკიადების მზადების დღეებში ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით გამოცდილი მწვრთნელები ანთაძე, თიკანაძე, გოკიელი, მაჩკალიანი, ტარასევიჩი და სხვები მივლინებულ იქნენ სხვადასხვა რაიონში. ამ ღონისძიებამ მეტად კარგი ნაყოფი გამოიღო. მწვრთნელთა ჩასვლამ ერთი ორად გაზარდა ინტერესი სპორტისადმი და, რაც მთავარია, გამოავლინა კარგი მომავლის მქონე სპორტსმენები.

საკავშირო სპარტაკიადამ ახალი გადაუდებელი ამოცანები დაუსახა საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. მათ შორის ერთ-ერთი გადაუდებელი და ძირითადი საკითხია ახალი საიმედო თაობის აღზრდა. ეს თაობა უნდა ვეძებოთ ყველგან, ქალაქებშიც და რაიონებშიც. ამიტომ საჭიროა მტკიცედ დავუჭიროთ მხარი და ყოველმხრივ წავახალისოთ რესპუბლიკური კომიტეტის ძვირფასი თაოსნობა, რომელიც მან სპარტაკიადის მზადების დღეებში გამოიჩინა. საჭიროა წავიდეთ იქ, სადაც სამშობლო მოგვიწოდებს.

რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელთა ჩასვლა რაიონში, რაგინდ მოკლევადიანი არ უნდა იყოს ეს, ხალისს შეიტანს ძირეული კოლექტივის მუშაობაში, ძალას შემატებს ფიზკულტურულ კადრებს. გამოავლენს ნიჭიერ სპორტსმენებს, ამასთან ერთად თვით მწვრთნელებს დიდი შესაძლებლობა მიეცემათ ფართოდ გაშალონ თავიანთი ნიჭი და უნარი, შემოქმედებითად იმუშაონ ახალბედა სპორტსმენებთან.

მაშ, მივაშუროთ ძირეულ კოლექტივებს, სოფლებს, რაიონულ ცენტრებს, ამხანაგო მწვრთნელებო! თქვენ იქ მიგელის ათასობით სპორტის მოყვარული, თქვენ იქ სიხარულით მიგელებენ, საშუალება მოგეცემათ იამაყოთ თქვენი შემოქმედებითი მუშაობით. დარწმუნებული იყავით, რომ სამშობლო თქვენს ამაგს არ დაივიწყებს, იგი დაგაფასებთ.

წავიდეთ, ვიმუშაოთ იქ, სადაც საქმე მოითხოვს, სადაც სამშობლო მოგვიწოდებს!

☆

## ფიზკულტურის კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: საავტომობილო სპორტში — ი. ვართ[illegible]ტრიკოვს, კ. ჩერკაშინს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), მოტოსპორტში — [illegible] სუხიშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი“); ფარიკაობაში — კ. გოგელიას (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სიგელით დააჯილდოვა მწვრთნელი ცურვაში ვ. მარინი, რომელმაც აღზარდა ევროპისა და მსოფლიო რეკორდსმენი ბ. ნიკიტინი.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ქართულ ჭიდაობაში გ. ბასიაშვილს, ი. ტერუნოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი“). სპორტულ ტანვარჯიშში — ვ. ალთუნაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), კ. გეგუჩაძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), მძლეოსნობაში — ნ. სკორნიაკოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), რ. განჯუმოვს (თბილისი, „ენერგია“).

## მელბურნში აგიზგიზდა ოლიმპიური კოცონი

სწორედ ოლიმპიადის გახსნის წინა დღეებში მელბურნში ქარი ქროდა და წვიმდა. წვიმდა ისე, რომ „ოლიმპიური სოფლის“ მკვიდრნი — სპორტსმენები უიმედოდ შეჰყურებდნენ სქელი ღრუბლებით დაფარულ ცას და მშრალ ადგილს ნატრულობდნენ.

მაგრამ ოპტიმისტი მელბურნელები იმედს არ ჰკარგავდნენ და არწმუნებდნენ, რომ ამინდი აუცილებლად გამოკეთდებოდა. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ქუჩებშიც კი დადიოდა პლაკატით ხელში, რომელზეც ეწერა ავსტრალიელი მწერლის ფრენკ ჰარდის სიტყვები: „ნუ დაიჯერებთ, რომ მელბურნში ყოველთვის წვიმა მოდის. ეს სიდნეის მცხოვრებლებმა დაგვწამეს შურით“.

მართლაც, 22 ნოემბერი მზიანი, ნათელი და ხალისიანი დადგა.

„კრიკეტ გრაუნდის“ ვეება სტადიონმა დილაადრიან გაალო თავისი კარები. ისინი, ვისაც ჰქონდა მხოლოდ შესასვლელი ბილეთი, მთელი ღამე იდგნენ რიგში, რათა კარგი ადგილი ეშოვათ ფეხზე დასადგომად და საუზმით ხელში ელოდათ თამაშების დაწყებისათვის.

ზუსტად 3 საათზე დაიწყო ოლიმპიადის მონაწილე 68 სახელმწიფოს სპორტსმენთა პარადი, რომელსაც ოლიმპიური ტრადიციის მიხედვით წინ მიუძღოდა საბერძნეთის დელეგაცია. შემდეგ ალფავიტის მიხედვით მოდიოდნენ ავღანელები, არგენტინელები, ბულგარელები... ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები. განსაკუთრებით გულთბილად შეეგებნენ მაყურებლები საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა გამოჩენას.

სპორტსმენები მოეწყვნენ მწვანე მინდორზე. ოლიმპიური ორგკომიტეტის თავმჯდომარე ჰიუზი მიესალმა მონაწილეებსა და მაყურებლებს. შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბრენდეჯმა სთხოვა ედინბურგის ჰერცოგს გაეხსნა ოლიმპიადა. ამ უკანასკნელმა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ მენზისის თანდასწრებით XVI ოლიმპიური თამაშები გახსნილად გამოაცხადა. ფანფარების მკვეთრ ხმაზე ანძაზე ნელა აღიმართა თეთრი დროშა ხუთი ვადაჭდობილი რგოლით, ცას მოეფინა თეთრი მტრედები — მშვიდობისა და კეთილმეზობლობის სიმბოლო.

სარბენ ბილიკზე გამოჩნდა მორბენალი ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში. ეს იყო ავსტრალიის ჩემპიონი 1 მილზე რბენაში რონ კლარკი. მაღლა აღმართული ხელით იგი ავიდა კვარცხლბეკზე და აანთო ოლიმპიური კოცონი, რომელმაც ოლიმპის მთიდან (საბერძნეთი) 20.000 კილომეტრი იმგზავრა, სანამ „კრიკეტ გრაუნდის“ სტადიონს მიაღწევდა.

დაიწყო ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები.

კალათბურთში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად. საბჭოთა კავშირის კალათბურთელები ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ საფრანგეთის, სინგაპურისა და კანადის გუნდებთან. პირველი შეხვედრა მათ ჰქონდათ კანადის გუნდთან, რომელიც შედგება მაღალი, მეტად სწრაფი და ტემპერამენტიანი სპორტსმენებისაგან. საბჭოთა კალათბურთელებმა თავიდანვე განსაცვიფრებელი ტემპი აიღეს და პეტკიავიჩიუსმა, სტონკუსმა და ოზეროვმა პირველ წუთზევე 7 ქულა მისცეს გუნდს. მეოთხე წუთისათვის იგი უკვე 13:1 იყო. კანადელებმა ორჯერ აიღეს წუთშესვენება, შეცვალეს რამდენიმე მოთამაშე, მაგრამ გარდატეხას ვერ მიაღწიეს. ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 46:20 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. სურათი არ შეცვლილა შესვენების შემდეგაც. საბჭოთა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 97:59.

ოლიმპიადის მეორე დღეს ყურადღების ცენტრში იყო შეჯიბრება მძლეოსნობაში, კერძოდ, რბენა 10.000 მეტრზე. მსოფლიოს უძლიერესმა სტაიერებმა პირველი კილომეტრი ჯგუფად განვლეს, მაგრამ მალე დაწინაურდა ვ. კუცი (სსრკ), რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვა გ. პირი (ინგლისი). მაყურებლები ფეხზე ამდგარნი, დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ამ შესანიშნავ შეჯიბრებას. კუცი და პირი დიდხანს ლიდერობდნენ რბენას და არ უკლებდნენ ტემპს. პირის ტაქტიკა ცხადი იყო — მას სურდა კვალში ჩადგომოდა კუცს და ბოლოს გასულიყო წინ. საბჭოთა სპორტსმენმა რამდენჯერმე სცადა წინ გაეშვა ინგლისელი, მაგრამ პირი უცვლელად მიჰყვებოდა მას უკან. გავლილი იყო 8.400 მეტრი, როცა კუცმა მძლავრი ბიძგი გააკეთა და სულ მალე დასცილდა თავის მთავარ კონკურენტს. პირს არ ეყო ძალა და თანდათან ჩამორჩა, მას ზედიზედ აუარეს გვერდი ი. კოვაჩმა (უნგრეთი), ა. ლაურენსმა (ავსტრალია). სტადიონის აღტაცებული ტაშის ქვეშ კუცმა პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი ახალი ოლიმპიური რეკორდით — 28.45,6 (მისივე მსოფლიო რეკორდი უდრის 28.30,4). კოვაჩის შედეგია 28.52,4, ლაურენსისა — 28.53,6.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში არნახული ბრძოლა გაიმართა სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის. წარუმატებლად დაიწყო შეჯიბრება ვ. პოლიაკოვმა (სსრკ), რომელმაც ვერ შეძლო აეღო 1 მ 82 სმ სიმაღლეც კი. სამაგიეროდ კარგი შედეგებით ფინალში გავიდნენ ი. კაშკაროვი და ვ. სიტკინი.

კვლავ ბრწყინვალე ტექნიკა გამოამჟღავნა მსოფლიო რეკორდსმენმა ჩ. დიუმასმა (აშშ). მან დაძლია 2 მ 12 სმ და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. ვერცხლის მედალი ერგო ავსტრალიელ ჩ. პორტერს — 2 მ 10 სმ. ი. კაშკაროვმა დაიკავა მესამე ადგილი — 2 მ 08 სმ. სამივე ეს შედეგი აღემატება ამერიკელი დევისის ძველ ოლიმპიურ რეკორდს.

ჩეხოსლოვაკელ მძლეოსან ქალს ო. ფიკოტოვას წელს მსოფლიოში მეოთხე შედეგი ჰქონდა ნაჩვენები ბადროს ტყორცნაში. ამჯერად მან შესანიშნავი კლასი აჩვენა და ახალი ოლიმპიური რეკორდით (53 მ 69 სმ) დაიკავა პირველი ადგილი. ი. ბეგლიაკოვამ (სსრკ) ბადრო ტყორცნა 52 მეტრსა და 54 სანტიმეტრზე და გამოვიდა მეორე ადგილზე. გასული თამაშების ჩემპიონმა ნ. პონომარიოვამ (სსრკ) დაიზიანა ფეხი და თავისათვის დაბალი შედეგით (52 მ 02 სმ) დაიკავა მესამე ადგილი. ეს სამივე შედეგიც აგრეთვე უმჯობესია პონომარიოვას ძველ ოლიმპიურ რეკორდზე.

ჩატარდა შესარჩევი შეჯიბრებები 100 მ რბენაში ვაჟთა შორის. ჯერჯერობით საუკეთესო შედეგები აქვთ ამერიკელ სპორტსმენებს ბ. მოროუსა და ა. მერჩისონს — 10,3. საბჭოთა სპორტსმენებმა ბ. ტოკარევმა, ი. კონოვალოვმა და ლ. ბარტენევმა შესაბამისად აჩვენეს 10,6, 10,6 და 10,7.

მაღალი შედეგებით აღინიშნა შტანგისტთა გამოსვლები. მჩატე წონაში კონკურენციის გარეშე იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენები ვ. სტოგოვი (სსრკ) და ჩ. ვინჩი (აშშ). აჭიმვა და ატაცი ორივე ატლეტმა ერთნაირი შედეგებით დაამთავრა—105+105. ოქროს მედლის საკითხს წყვეტდა აკვრა. წონა 127,5 კგ გამართულ ხელებზე ორივე პრეტენდენტმა აჰკრა, მაგრამ სტოგოვმა ვერ დაძლია 132,5 კგ, ხოლო ვინჩიმ წარმატებით დაამთავრა ეს მოძრაობაც. სამჭიდის ჯამში შესანიშნავი მსოფლიო რეკორდით — 342,5 კგ პირველი ადგილი დაიკავა ვინჩიმ (სტოგოვის ძველი რეკორდი გაუმჯობესებულია 7 კილოგრამით). სტოგოვი გამოვიდა მეორე ადგილზე — 337,5, მესამე ადგილზეა ირანელი ნამდიუ — 332,5 კგ.

ქვემსუბუქ წონაში ოქროს მედლისათვის კვლავ საბჭოთა და ამერიკელი ძალოსნები იბრძოდნენ — ე. მინაევი და ი. ბერგერი. აჭიმვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მინაევმა — 114,5. ამერიკელმა 7 კილოგრამით ნაკლები აჭიმა. მდგომარეობა გათანაბრდა ატაცში: ბერგერი — 107,5, მინაევი — 100. დარჩა ბოლო მოძრაობა — აკვრა. ამერიკელი შტანგისტები აკვრაში მეტად ძლიერნი არიან. ეს კარგად დაამტკიცა ბერგერმა, რომელმაც აკრა 137,5. მისი ჯამი 352,5 კგ ახალი მსოფლიო რეკორდია. მინაევი 10,5 კილოგრამით ჩამორჩა ჩემპიონს და გამოვიდა მეორე ადგილზე. ზელინსკიმ (პოლონეთი) დაიკავა მესამე ადგილი — 335 კგ.

ვანდურეს ტბაზე მიმდინარეობს შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში. აქ უკვე მოხდა დიდი სიურპრიზი — აშშ-ს ძლიერმა კოლექტივმა რვამოსასმელიან ნავზე, რომელსაც ბევრი უქადდა პირველ ადგილს, წააგო ავსტრალიისა და კანადის გუნდებთან.

საბჭოთა ნიჩბოსნები ა. ბერკუტოვი და ი. ტიუკალოვი გავიდნენ ფინალში, ხოლო ვ. ივანოვი — ნახევარფინალში.

თანამედროვე ხუთჭიდის პირველ სახეობაში (საცხენოსნო კროსი) გაიმარჯვა გ. ლამბერტმა (აშშ). ა. დერიუგინმა, ჩ. ტარასოვმა და ი. ნოვიკოვმა (სსრკ) შესაბამისად დაიკავეს მე-12-14 ადგილები. გუნდური ჩათვლაში საბჭოთა ხუთჭიდელები პირველი დღის შემდეგ იმყოფებოდნენ მესამე ადგილზე.

მოკრივეთა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ვ. სტოლნიკოვის გამარჯვება ქულებით ევროპის ჩემპიონ ე. ბაზელთან (გერმანია). ა. ლაგეტკომ (სსრკ) დაამარცხა ნუნესი (არგენტინა).

ფარიკაობაში საბჭოთა კავშირის რაპირისტ ვაჟთა გუნდმა წააგო შეხვედრა ბელგიასთან (7:9), მაგრამ ამავე ანგარიშით დაამარცხა გასული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საფრანგეთის ძლიერი გუნდი და გავიდა ნახევარფინალში. აქ ჩვენმა მოფარიკავეებმა წააგეს უნგრეთთან და საფრანგეთთან და გამოითიშნენ შემდგომი შეჯიბრებიდან.

შეჯიბრებაში ჩაებნენ აშშ-ს კალათბურთელები. მათ ანგარიშით 94:40 დაამარცხეს იაპონიის გუნდი.

24 ნოემბერს „კრიკეტ გრაუნდის“ სტადიონზე გრძელდებოდა მძლეოსანთა შეჯიბრება. ურის მტყორცნელთა შორის გაიმარჯვა გ. კონოლიმ (აშშ) — 63 მ 19 სმ. მაღალი შედეგი იყო მოსალოდნელი 100 მეტრზე რბენაში, მაგრამ მაყურებელთა მოლოდინი არ გამართლდა. მოროუმ (აშშ) ეს მანძილი გაირბინა 10,5-ში. 400 მეტრზე თარჯრბენში ოქროს მედალი კვლავ აშშ-ს წარმომადგენელმა დევისმა მოიპოვა, სიგრძეზე ხტომაში (შედეგით 7 მ და 83 სმ) გამარჯვება ამერიკელ ბელს დარჩა.

სიმძიმეების აწევაში საუკეთესო შედეგი აჩვენა საბჭოთა ძალოსანმა რიბაკმა. მან დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი — სამჭიდის ჯამში აჩვენა 380 კგ.

ჩატარდა ფეხბურთელთა მატჩი. საბჭოთა კავშირის გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა გერმანიის ფეხბურთელთა კოლექტივი.

# ახალი ამოცანების წინაშე

**გ. სიხარულიძე,**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

საბჭოთა ადამიანები უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამსჭვალულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნველობით ხალხის კეთილდღეობისათვის. ყოველდღიურად იზრდება სსრ კავშირის მოსახლეობის კეთილდღეობა და კულტურული დონე.

შემცირდა სამუშაო დღე დასვენებისწინა და უქმისწინა დღეებში. ადამიანებს მიეცათ მეტი დრო დასვენებისათვის, სწავლისათვის, სპორტისათვის. აი, სად იხსნება ახალი შესაძლებლობანი, ახალი პერსპექტივები ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ფიზკულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად სახალხო საქმედ იქცა. და ესაა სწორედ საბჭოთა სპორტის ყველაზე მთავარი და ძვირფასი თავისებურება. მისი ხალხურობა და მასობრიობა მთელი ძალით იქნა დემონსტრირებული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სპორტსმენებთან ერთად სპარტაკიადაზე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარმომადგენლებმაც. ჩვენი სპორტული დელეგაცია მოსკოვში მიღებულ იქნა გულთბილად, მზრუნველობით და მას ყოველგვარი ხელშეწყობა გაეწია.

თითქმის ორი კვირის დაძაბული სპორტული ბრძოლების შემდეგ, როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციამ სპარტაკიადაზე დაიკავა საერთო მეხუთე ადგილი, რომლისათვის იბრძოდნენ აგრეთვე ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიისა და სხვა რესპუბლიკათა ძლიერი კოლექტივები.

როცა ვლაპარაკობთ ჩვენი დელეგაციის მიერ სპარტაკიადაზე მოპოვებულ შედეგებზე, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას, რომ ჩვენს გუნდს წარმატება მოუტანა დელეგაციის ძირითადმა მასამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ.

სპარტაკიადაზე კარგად გამოვიდნენ ფეხბურთის, კალათბურთის, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, ნიჩბოსნობის, წყალში ხტომის, ფარიკაობის, ჩოგბურთის, სასტენდო სროლის, ტანვარჯიშის გუნდები. განსაკუთრებით ისახელეს თავი მოჭიდავეებმა ძნელაძემ, სხირტლაძემ და ცალქალამანიძემ, მოცურავე ნიკიტინმა, მსროლელმა ანანიკაშმა, რომლებმაც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონების ოქროს მედლები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადაზე სუსტად გამოვიდნენ ველოსიპედისტები (მე-13 ადგილი), მოკრივეები (მე-12 ადგილი), ფრენბურთელები და ტყვიით მსროლელები (მე-10 ადგილი), კალათბურთელი ვაჟები და ძალოსნები (მე-9 ადგილი).

დაბალი მაჩვენებლები ზემოჩამოთვლილ სახეობებში შემთხვევითი არაა. წლების განმავლობაში არ ხორციელდებოდა ღონისძიებები მწვრთნელთა კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საგრძნობლად ჩამორჩებოდა წვრთნის მეთოდიკა, მოსწავლე ახალგაზრდობის მეტად მცირე რაოდენობა იყო ჩაბმული სპორტის ამ სახეობათა სექციებში და, რაც მთავარია, არ იყო მასობრიობა.

მხოლოდ არასაკმაო მასობრიობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად კრივში, ველოსპორტსა და სროლაში იძულებული ვიყავით ნაკრებ გუნდებში ჩაგვერიცხა სპორტსმენები, რომლებმაც შესარჩევ შეჯიბრებებზე აჩვენეს საშუალოზე დაბალი შედეგები.

ფიზკულტურული მოძრაობის წარმატება პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება მის მასობრიობასთან ე. ი. რესპუბლიკის ახალგაზრდობის იმ რიცხვთან, რომელიც სისტემატურად მეცადინეობს ფიზკულტურასა და სპორტში. ამასთან საჭიროა გვახსოვდეს, რომ მასობრივი მოძრაობის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში და სკოლებში.

მაშასადამე, მთელი ყურადღება უნდა მიქცეულ იქნას ჩვენი წინსვლის ამ მთავარი რგოლისაკენ.

სამწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებას ზოგიერთები ივიწყებენ. ფიზკულტურის კომიტეტები და სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები არ უწევენ სისტემატურ დახმარებას ძირეულ კოლექტივებს ადგილებზე და მათ მცირე ადგილს უთმობენ სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარულ გეგმებში.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, აბაშის, ხაშურის, თელავის, მახარაძის, ცხინვალისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების შეჯიბრებათა კალენდარული გეგმები არაა მიმართული ფიზკულტურის კოლექტივების განმტკიცებისაკენ და სერიოზულად აფერხებენ მათში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარებას. რესპუბლიკის უმრავლეს ქალაქებსა და რაიონებში ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრდა სპორტულ შეჯიბრებათა ორგანიზაციის პრაქტიკა, როცა ფიზკულტურის კოლექტივების უშუალო და სისტემატური მონაწილეობა მათში შეცვლილია სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მცირერიცხოვანი ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ასეთი პრაქტიკა ფიზიკური კულტურის კოლექტივებს უსპობს დაინტერესებას და სტიმულს სპორტში სისტემატური მუშაობის წარმოებისადმი, აქვეითებს კოლექტივების საბჭოებისა და სპორტული სექციების პასუხისმგებლობის გრძნობას. ამის შედეგად ფიზკულტურის კოლექტივების უმრავლესობა თავის საქმიანობას ფარგლავს იმით, რომ აწყობს ცალკეულ ეპიზოდურ ღონისძიებებს: სპარტაკიადებს, ახალგაზრდულ თამაშებსა და ა. შ. ყველაფერი ეს ატარებს კამპანიურ ხასიათს და არ შეესაბამება იმ ძირითადი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დასახულია ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე სპორტულ მეცადინეობაში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მასობრივად ჩაბმის საქმეში.

საქალაქო შეჯიბრებათა ჩატარებამ სპორტსაზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორის გამოიწვია ის, რომ სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურმა საბჭოებმა ფიზკულტურული კოლექტივების სექციები სპორტის უმთავრეს სახეობებში შეცვალეს საქალაქო ცენტრალური სექციებით და ნაკრები გუნდებით, სადაც მუშაობას აწარმოებენ სპორტსმენთა ვიწრო წრეებთან, რომლებიც მოწყვეტილი არიან თავის კოლექტივებს. ამავე დროს ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების სექციებში მომეცადინე სპორტსმენები მოკლებული არიან კვალიფიციური მწვრთნელების ხელმძღვანელობას, გამოცდილ სპორტსმენებთან ერთობლივ მეცადინეობას. მათი ტექნიკური დონის ზრდა ერთობ ნელა მიმდინარეობს და ისინი მალე ჰკარგავენ ინტერესს სპორტში რეგულარული მეცადინეობისადმი.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში 2.300 მონაწილედან ისეთი სპორტსაზოგადოებებიდან, როგორიცაა „პიშჩევიკი“ (რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე იოსებაშვილი) მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 81-მა კაცმა, „ლოკომოტივიდან“ (თავმჯდომარე ხაბალაშვილი) — 34-მა, „კრასნაია ზვეზდიდან“ (თავმჯდომარე კაჭახიძე) — 22-მა, „კრასნოე ზნამიადან“ (თავმჯდომარე ჯიშკარიანი) — 17-მა, „სტროიტელიდან“ (თავმჯდომარე ჟღენტი) — 9-მ, ხოლო „ნეფტიანიკიდან“ — მხოლოდ — 3-მა.

გასაკვირი არაა რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მონაწილეობდნენ, უმრავლეს სპორტსაზოგადოებათაგან მონაწილეობდა სპორტსმენთა მეტად მცირე რაოდენობა. ასე მაგალითად: „სპარტაკიდან“ — 28, „პიშჩევიკიდან“ და „შრომითი რეზერვებიდან“ — 13, „კრასნოე ზნამიადან“ და „კოლმეურნიდან“ — 9, „ლოკომოტივიდან“ — 5 და „კრასნაია ზვეზდადან“ — მხოლოდ 2.

სპორტსაზოგადოებათა საოლქო და საქალაქო საბჭოები თავის კოლექტივებს შორის სისტემატური შეჯიბრებების მოწყობის მაგივრად ძირითად ყურადღებას უთმობენ ნაკრები გუნდების ჩამოყალიბებას და მათ გამოყვანას შეჯიბრებებში და ამასთან თავის თანხებს ძირითადად ხარჯავენ ნაკრები გუნდების გამოყვანაზე. ამასთან „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „პიშჩევიკის“, „კოლმეურნის“, „სტროიტელის“, „კრასნოე ზნამიას“, „კრასნაია ზვეზდას“ ძირეული კოლექტივების სექციებს შესაძლებლობა არა აქვს ისარგებლონ თავისი სპორტსაზოგადოების ბაზებით სექციური მეცადინეობის წარმოებისათვის, ვინაიდან საამისო თანხები არ გააჩნიათ.

არასწორია აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების პირველობათა გათამაშების სისტემა მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალში ხტომაში, თანამედროვე ხუთჭიდში, კრივსა და სხვა სახეობებში, სადაც ქალაქებისა და რაიონების პირველობებს ეპიზოდური ღონისძიების ხასიათი აქვს. და ისიც სეზონის დასაწყისში. ამის შედეგად პირველობის დამთავრების შემდეგ სპორტსაზოგადოებები და ძირეული კოლექტივები აჩერებენ მუშაობას სექციებში, რაც სტიმულს არ იძლევა სრულწლიანი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის წარმოებისათვის, განსაკუთრებით ღია ცისქვეშ, და აფერხებს სპორტსმენთა მიღწევების ზრდას, ამცირებს მათს დაინტერესებულებას სისტემატური წვრთნისადმი. ამრიგად, სპორტსმენს წლის განმავლობაში შეჯიბრებაში გამოსვლა უხდება მხოლოდ 2-3-ჯერ, რაც არასაკმარისია.

ამაზე ცხადად მეტყველებს ა. წ. ოქტომბერში მოწყობილი შეჯიბრების შედეგები მძლეოსნობაში უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის. ამ შეჯიბრებებზე სპორტსმენები ცუდად მომზადებული გამოვიდნენ, არ იყო ნაჩვენები სპორტის ოსტატის არც ერთი ნორმა და მხოლოდ ოთხმა მძლეოსანმა აჩვენა პირველი თანრიგის შესატყვისი შედეგი. ასევე ცუდად მომზადებული იყვნენ ამას წინათ ჩატარებულ შეჯიბრებაში „დინამოს“, „სპარტაკის“, „პიშჩევიკის“, ქუთაისისა და ა. შ. მოზარდი მოკრივეები. დაბალ დონეზე იყვნენ მომზადებული აგრეთვე ქუთაისის, აბაშის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, სიღნაღისა და აჭარის ცხენოსნები, რომლებიც მონაწილეობდნენ ნოემბერში ჩატარებულ რესპუბლიკურ პირველობაზე.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, სადაც თავმოყრილია ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა დიდ ნაწილში სპორტის მასობრივი განვითარებისა და სპორტული ოსტატობის ზრდის საკითხი არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. კიდევ მეტიც. სამედიცინო ინსტიტუტის, რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და ზოგიერთი ტექნიკუმის კოლექტივები არ ღებულობენ მონაწილეობას რესპუბლიკურ და საქალაქო შეჯიბრებებში იმ მოტივით, რომ მათ არ ჰყავთ გუნდები ან სუსტად ჰყავთ ისინი მომზადებული.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხი პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება იმ მდგომარეობასთან, რომელიც არსებობს სკოლებში. ფიზკულტურის კომიტეტები და განათლების სამინისტროების ორგანოები ადგილებზე ვალდებული არიან მთელი ყურადღება გაამახვილონ სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. კარგად მომზადებული და ორგანიზებული შეჯიბრებები კლასებს, სკოლებს შორის და საუკეთესო ნორჩ სპორტსმენთა შეხვედრები გამოცდილ სპორტსმენებთან, საშუალებას იძლევა კიდევ უფრო ავამაღლოთ ნორჩ სპორტსმენთა საერთო კლასი. რაც უფრო ხშირად იქნება გათვალისწინებული საქალაქო და სარაიონო კალენდარულ გეგმებში ამგვარი ღონისძიებები, მით უფრო სწრაფად მივიღებთ სათანადო ცვლას რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში.

ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების განმტკიცების, მათში სასწავლო-სპორტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების, სპორტის მასობრიობის ზრდისა და მოწინავე სპორტსმენთა მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ შეჯიბრებები და პირველობები რაიონებსა და ქალაქებში სპორტის წამყვან სახეობებში, როგორც წესი, ტარდებოდეს მხოლოდ ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს შორის. ამასთან, საჭიროა კიდევ ერთი პირობაც — რომ კოლექტივებმა შეჯიბრებებზე (განსაკუთრებით სპორტთამაშებში) გამოიყვანონ 2-3 გუნდი ბავშვთა და მოზარდთა გუნდებს გარდა.

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ შექმნან გაერთიანებული სექციები და გუნდები, რომლებიც აერთიანებენ წარმოებათა და დაწესებულებათა მცირერიცხოვან კოლექტივებს და მისცენ მათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საქალაქო და სარაიონო შეჯიბრებებში. ამასთან ერთად, ფიზკულტურის კომიტეტებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა და საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა კალენდარული გეგმებისა და საქალაქო შეჯიბრებათა წესის გარდაქმნასთან ერთად მთელი თავისი ყურადღება უნდა გაამახვილონ წარმოებებში, დაწესებულებებში და სასწავლო დაწესებულებებში შეჯიბრებათა სისტემატურად ჩატარებაზე. ყოველ ფიზკულტურულ კოლექტივს უნდა ჰქონდეს სპორტულ შეჯიბრებათა წლიური კალენდარული გეგმა. ამ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა სრულდებოდის რეგულარულად. საჭიროა სისტემატური კონტროლი აღნიშნული გეგმების შესრულებაზე.

ღონისძიებათა კალენდარული გეგმები უნდა სრულდებოდეს მაღალ დონეზე. მაგალითად, ეს ორი წელია თბილისის გუნდები არ მონაწილეობენ რესპუბლიკის პირველობაზე ნიჩბოსნობაში, ხოლო ფოთი არ მონაწილეობს რესპუბლიკურ პირველობაზე საიალქნო სპორტში. საქართველოს 1956 წლის გუნდურ პირველობაზე ტანვარჯიშში არ მონაწილეობდნენ „კრასნოე ზნამია“, „კრასნაია ზვეზდა“, „ნეფტიანიკი“, ხოლო „სპარტაკისა“ და „შრომითი რეზერვების“ გუნდები დაუკომპლექტებელი გამოვიდნენ. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ“ (თავმჯდომარე დოკვაძე) საერთოდ შეწყვიტა ამ სახეობის კულტივირება.

გასულ წელს საქართველოს პირველობაზე კალათბურთში მონაწილეობა არ მიიღეს აფხაზეთისა და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა. ხოლო მეორე ჯგუფში გუნდები არ გამოიყვანეს მახარაძემ, ცაგერმა, ბორჯომმა, გაგრამ (ვაჟები), ქუთაისმა, სიღნაღმა, თეთრი წყაროს (ქალები).

როგორც წესი, რაიონისა და ქალაქის პირველობას წინ უნდა უძღოდეს შეჯიბრებები კოლექტივებს შორის, მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვევა. ფიზკულტურის კოლექტივებისათვის დახმარების გაწევის მიზნით სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურმა საბჭოებმა რაიონებში [illegible] უნდა [illegible] გამოცდილი მწვრთნელები და გამოჰყონ ადგილებზე სპორტული ბაზები.

საქართველოს ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა სპორტულ მუშაობას მოსწავლეთა შორის. ჯერ კიდევ 1952 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომ ბავშვთა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დღის საათებში უფასოდ დაეთმოს საუკეთესო სპორტული ბაზები, მაგრამ ზოგიერთი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაცია დახმარებას არ უწევს ნორჩ სპორტსმენებს, რათა მათ ჰქონდეთ ყველა ხელშემწყობი პირობა ნაყოფიერი მეცადინეობისათვის. ფიზკულტურის კომიტეტებმა და სხვა სპორტულმა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიებას უნდა მიმართონ, რათა ბავშვებს საუკეთესო პირობები ჰქონდეთ წვრთნისათვის.

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების ორგანოებმა უნდა უზრუნველჰყონ 1957 წლის კალენდარული გეგმების შესაბამისი გარდაქმნა ახალი ამოცანების შესაბამისად.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოპოვებულმა წარმატებებმა თვითკმაყოფილების გრძნობა არ უნდა გამოიწვიოს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებში. პირიქით, სსრ კავშირის სპორტულ დელეგაციაში, რომელიც ამჟამად მონაწილეობას ღებულობს XVI ოლიმპიურ თამაშებში, საქართველოდან 10 სპორტსმენია. ეს მეტად მცირეა.

მომავალი წლის კალენდარული გეგმების შედგენისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სპორტის ეროვნული სახეობებიც (ლელო, ქართული ჭიდაობა, ცხენბურთი, ისინდი და სხვ.).

ქ. თბილისის მაგალითზე კალენდარულ გეგმებში საჭიროა შევიტანოთ აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო, მოსწავლეთა, ქალთა და სხვა სპარტაკიადები, რაც კიდევ უფრო აწევს მასობრიობას და აამაღლებს ინტერესს სპორტში მეცადინეობისადმი.

კიდევ უფრო დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ იმ მიმართებით, რომ გამოვავლინოთ ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენები. მომავალ წელს იქნება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკათა სპარტაკიადა. ჩვენი ამოცანაა წარმატებით მოვემზადოთ ამ ღონისძიებისათვის.

1959 წელს ჩატარდება სსრ კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადა, რომელიც კიდევ უფრო გაზრდილ პროგრამას შეიცავს. ჩვენი ამოცანაა ამთავითვე ვაწარმოოთ მზადება, რათა მოვიპოვოთ კიდევ უფრო მეტი წარმატებები. დარჩენილი დრო, 3 წელიწადი, არც ისე დიდი ვადაა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ახასიათებს ჩვენს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებს და უწყებებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზკულტურელები და სპორტსმენები საჭიროა აღვზარდოთ სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით. ისინი უნდა იყვნენ მოწინავენი არა მარტო სპორტში, არამედ, პირველ ყოვლისა, შრომაში, სწავლაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. საჭიროა კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა.

ჩვენს რესპუბლიკას გააჩნია მოწინავე სპორტული ტრადიციები. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, კომკავშირული, პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტიური ხელშეწყობით საჭიროა მივაღწიოთ კიდევ უფრო მძლავრ აღმავლობას ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის დარგში.



ამ პატარა გოგონას, ტრიბუნაზე რომ აუყვანიათ და ათასი თვალი სიყვარულით „მისჩერებია, თავისი მშობლებისა და ნათესავებისაგან საჩუქრად ბევრჯერ მიუღია დედოფალა, ნახატებიანი წიგნი, სათამაშოები. მაგრამ ეს „უცხო ძიები" რომ ასაჩუქრებენ, ძალიან უკვირს.

ეს საჩუქარი, რომელიც მას ახლა გადასცეს, მისი „სპორტული ბიოგრაფიის" ბედნიერი დასაწყისის ნიშანია. რამდენიმე წუთის წინათ იგი გატაცებით მოაქროლებდა ფინიშისაკენ თავის საბავშვო ველოსიპედს...

დახედეთ სურათს — რა ენერგიულად მიისწრაფის ფინიშისაკენ ნორჩი სპორტსმენი. თანატოლები აღტაცებით შეჰყურებენ ველოსიპედისტს და ბავშვური მოუთმენლობით მიჰყიყინებენ: — ჩქარა, ჩქარა! ხოლო უფროსთა კმაყოფილებით გაბადრულ სახეებზე ადვილად წაიკითხავთ: — ყოჩაღ, ბიჭიკო!

ეს სურათები ჩვენმა ფოტორეპორტიორმა დ. იაკობაშვილმა გადაიღო რუსთავში, რესპუბლიკის ამ მოწინავე სამრეწველო ცენტრის ყველაზე ნორჩ მოქალაქეთა შეჯიბრებაზე. პატარების ასპარეზობამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია ქალაქის მცხოვრებთა შორის, მოსწავლეებში, ბავშვებში. ნორჩ ველოსიპედისტთა შეჯიბრების სანახავად უამრავი მაყურებელი მოვიდა.





# საინტერესო მარშრუტით

მრავალი ათასი მშრომელი ორგანიზმის გაკაჟებისა და ჩვენი მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით შვებულებას ტურისტულ ლაშქრობაში ატარებს, ამიტომაც ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე და ზოგიერთ მარშრუტებზე ზამთრის პერიოდშიც მრავალი ტურისტი სერავს სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებს.

ტურიზმის განვითარების საქმეში საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მოძმე რესპუბლიკებს შორის. მისი მდებარეობა და ისტორიული წარსული მრავალ ტურისტს იზიდავს, როგორც საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთიდანაც.

მიმდინარე ტურისტულ სეზონში 4.500 ჯგუფის 90.000 მონაწილემ მოიარა საქართველო. განსაკუთრებით ხალხმრავალია ლაშქრობა შავი ზღვის თვალწარმტაც სანაპიროებსა და მაღალმთიან რაიონებში. რესპუბლიკის ტურისტული ბაზები, რომელთა რიცხვი 15-ს აღემატება მომსახურებას უწევდნენ რესპუბლიკაში არსებულ 16 ტურისტულ მარშრუტს, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საქართველოს სამხედრო გზის, სამხრეთ ოსეთისა და სოხუმის სამხედრო გზის, შავი ზღვის სანაპიროს კურორტებისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ბორჯომი — ბაკურიანი — ვარძია — საირმე — ქუთაისი) მარშრუტები.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ტურისტულ სეზონში 90.000 სპორტსმენი მონაწილეობდა, არადამაკმაყოფილებელია ნიშნოსანთა მომზადება, რაც აიხსნება იმით, რომ იმ მარშრუტებზე, სადაც ნიშანზე ჩათვლა ხდება (როკის უღელტეხილი ყაზარმით, სვანეთი, ზეკარის უღელტეხილი) მონაწილეთა ნაკლები რაოდენობა მოგზაურობდა.

საჭიროა მომავალ ტურისტულ სეზონში სათანადო ყურადღება მიექცეს საბჭოთა კავშირის ტურისტის ნიშნოსანთა მომზადების საქმეს.

**ა. ბარნოვი**

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 19 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „დრო მიდის, საქმე ადგილზეა...", რომელშიც ნათქვამია, რომ ხაშურის რაიონში „მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია ისეთ დიდ კოლექტივში, როგორიცაა სავაგონო და სალოკომოტივო დეპოები". ხშირია შემთხვევა, როდესაც რაიონში სპორტულ ბაზებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. ასე მაგალითად, საჭადრაკო კლუბის ოთახში შეასახლეს მძაჩის ბიური, მოჭადრაკეები კი გარეთ გამოიყვანეს".

როგორც საქართველოს ალკკ ხაშურის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

# საკავშირო ნახევარფინალი

თბილისის, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზი მოჭადრაკეებს დაუთმეს. საქართველოს დედაქალაქისა და სტუმრად ჩამოსული ჭადრაკის მოყვარულები უკვე ხუთი დღეა ინტერესით ესწრებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკეების თამაშებს.

ტურნირზე მძაფრი საჭადრაკო ბრძოლის ატმოსფეროა. ყველა მომონაწილე ცდილობს თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლინებას, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველამ შეძლო იგი. ბევრს მოელოდნენ მაყურებლები გროსმაისტერებისაგან, მაგრამ პირველ ტურებში ისინი მშვიდობიანი ყაიმებით დაკმაყოფილდნენ. სამაგიეროდ ოსტატებმა გურგენიძემ, ანტოშინმა და კასპარიანმა შემტევი სტილით დაიწყეს ტურნირი.

თბილისელთა ფალავანმა გურგენიძემ ჩინებული თამაშით დაამარცხა კოევილი გუფელდი, ხოლო ოსტატ ზურახოვთან მან გამოავლინა ძველინდური დაცვის ღრმა სტრატეგიული გაგება. მძიმე იყო ქართველი ოსტატის პარტია ლენინგრადელ ფურმანთან. მაგრამ მან მტკიცედ აწარმოა დაცვითი ოპერაციები და დამსახურებულ ყაიმსაც მიაღწია.

უფრო გაუჭირდა გურგენიძეს პეტროსიანის ნელი, პოზიციური მარწუხებისაგან თავის განთავისუფლება. მაგრამ იმედია გურგენიძე არ გაუცრუებს გულშემატკივრებს იმედებს და უფრო ყოჩაღად განაგრძობს წინსვლას.

ერევნელმა კასპარიანმა კომბინაციური შეტევით დაამარცხა კიეველი ზახაროვი, ხოლო ანტოშინმა, რომელიც ჩვეულებრივ აქტიური სტილის მოყვარულია, პოზიციურ თამაშში სძლია ვორონკოვს.

ოსტატობიდან დაწინაურებული არიან აგრეთვე რიგელი კობლენცი, მოსკოველი კროგიუსი და მოლოტოველი კოტკოვი.

ოსტატობის კანდიდატებიდან ჯერჯერობით კარგად აქვთ საქმე თბილისელ ბუსლაევსა და ბაქოელ ხალილბეილს. თბილისის ჩემპიონმა ორდღიან ბრძოლაში მოუგო კასპარიანს. საინტერესო იყო მისი შეხვედრა ანტოშინთან. დებიუტში უმნიშვნელო შეცდომით იგი განსაცდელში ჩავარდა. მაგრამ მან მოწინააღმდეგეს გონებამახვილური მახე დაუგო. ხალილბეილი, რომელიც თეორიულად კარგადაა მომზადებული, გუფელდსა და პოლუგაევსკის წინააღმდეგ ძველინდურ დაცვაში კომბინაციურად უტევდა მეტოქეებს. ამ შეხვედრებში მან ქულანახევარი დააგროვა. ცუდად დაიწყო შეჯიბრება თბილისელმა გიორგაძემ, რომელიც ტურნირში ჩარიცხეს შიანოვსკის მაგიერ. გიორგაძემ წააგო კობლენცსა და ფურმანთან, ხოლო გუფელდსა და ზურახოვთან პარტიები ყაიმით დაამთავრა.

ტურნირში გათამაშებულია რამდენიმე ისეთი პარტია, რომელსაც თეორიული მნიშვნელობა აქვთ. კროგიუსმა პოლუგაევსკის წინააღმდეგ სიცილიურ დაცვაში (თეთრებით) გამოიყენა ახალი გაგრძელება, რომელმაც წარმოშვა მანამდე უცნობი პოზიცია. თეთრების უპირატესობა ამ ვარიანტში ეჭვს არ იწვევს, ამიტომ შემდგომში შავებით უნდა მოიძებნოს უფრო საიმედო გაგრძელება. ფურმანმა (თეთრებით) გიორგაძესთან ძველინდური დაცვის ერთ-ერთ სისტემაში დამაჯერებლად დაამტკიცა შავების პაიკთა ცენტრის შექმნის იდეის მცდარობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პოლუგაევსკი-ტალის პარტია, რომელიც სავსე იყო წარმტაცი კომბინაციური თამაშით. პოლუგაევსკიმ განახორციელა ლაზიერის დროებითი შეწირვა, ხოლო როდესაც ტალმა თითქმის მოიგერია მძაფრი შეტევა, მან ეტლის შეწირვით ახალი სული შთაბერა იერიშს. მაგრამ, როდესაც ამ გართულებებს წყალობით პოლუგაევსკიმ პაიკი მოიგო, პარტიის ტექნიკური ნაწილი (დაბოლოება) სუსტად ჩაატარა და მოწინააღმდეგეს ყაიმის შანსები მისცა. პარტია გადაიდო.




გამოვიდა (რუსულ ენაზე) სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენი, რომელიც გააშუქებს საბჭოთა კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის თბილისის ნახევარფინალს.

ბიულეტენის პირველ ნომერში, რომელიც გემოვნებითაა გაფორმებული, მოთხრობილია ნახევარფინალის საზეიმო გახსნისა და კენჭისყრის შესახებ. მკითხველს სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. გოგლიძისა და გროსმაისტერ ტ. პეტროსიანის საინტერესო წერილებში შეუძლია ამოიკითხოს ნახევარფინალის პირველ და მეორე ტურებში გამართული ბრძოლის მსვლელობის ამბები. აქვეა მოყვანილი ამ ტურებში გათამაშებული ყველა პარტია. ცალკეა დაბეჭდილი ბ. გურგენიძე-ე. გუფელდის პარტია ოსტატ მ. შიშოვის კვალიფიციური კომენტარებით.

ბიულეტენში შემოღებულია განყოფილება „მოკლედ მონაწილეების შესახებ". პირველ ნომერში მკითხველი გაეცნობა ტ. პეტროსიანის, ვ. კორჩნოისა და ვ. ანტოშინის ბიოგრაფიებს. საინტერესოა ისტორიის კუთხეც, რომელშიც ოსტატობის კანდიდატი ნ. სოროკინი მოგვითხრობს მსოფლიო ჩემპიონ ა. ალიოხინთან თავისი შეხვედრების შესახებ.

ბიულეტენში მოყვანილია აგრეთვე საკავშირო ქალთა XVIII ჩემპიონატისა და საბჭოთა კავშირის XXIV ჩემპიონატის ლენინგრადისა და ხარკოვის ნახევარფინალებში ბრძოლის ამბები.

ბიულეტენის გამოცემა, რომელიც პირველად ხდება ჩვენს რესპუბლიკაში, მეტად საყურადღებო წამოწყებაა.ურიგო არ იქნება, რომ იგი ქართულ ენაზე გამოდიოდეს საქართველოს პირველობების დღეებშიც.

# ტელეფონით დნეპროპეტროვსკიდან

დნეპროპეტროვსკის ჭადრაკის მოყვარულთა კლუბი, სადაც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ქალთა XVIII საჭადრაკო ჩემპიონატი, ვერ იტევს თამაშის ნახვის ყველა მსურველს. [illegible] ელოდება შედეგებს. ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც ოქროს მედლისათვის ბრძოლაში მეტი სიმწვავე შეაქვთ.

### მეორე ტური

ამ დღეს შედეგიანი გამოდგა მხოლოდ ოთხი პარტია. ყველაზე ადრე დამთავრდა ე. კაკაბაძე-ნ. ვაფრინდაშვილის პარტია. საქმის გართულებას მშვიდობიანი ყაიმი არჩიეს. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს კოლოტიმ და ტოგონიძემ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართველი მოჭადრაკის პოზიცია უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

### მესამე ტური

ყველა შეხვედრაში ბრძოლა ისე დაძაბულად განვითარდა, რომ მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა, შვიდი კი გადაიდო. კაკაბაძემ, რომელიც უკრაინის ჩემპიონს კრიუკოვას ეთამაშებოდა, ენერგიული შეტევით გამარჯვება მოიპოვა. გორინამ დაამარცხა ახალგაზრდა მატვეევა, რომელიც ამ ტურნირში სუსტად თამაშობს. ფრთხილი, მანევრული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ტიხომიროვა-ვოლპერტის შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ბევრი დაუმთავრებელი პარტიის გამო ყველა არ გათამაშებულა. პირველი ტურიდან დამთავრდა მხოლოდ ტიხომიროვა-ბორისენკოსა და ტოგონიძე-ზვორიკინას პარტიები. გაიმარჯვეს ტიხომიროვამ და ზვორიკინამ. მეორე ტურის პარტიებში სემიონოვამ მოუგო ვოიცეკს, ბორისენკომ — გორინას, ტიხომიროვამ — კატკოვას, ხოლო რუდენკო-ესტერკინას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მესამე ტურიდან გადადებულ პარტიაში ვოიცეკმა დაამარცხა ბორისენკო, ხოლო ვაფრინდაშვილი-ზვორიკინას, ტოგონიძე-რუდენკოს, ესტერკინა-ივანტიევას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

### მეოთხე ტური

მოულოდნელი დამარცხება განიცადა კაკაბაძემ ზვორიკინასთან. უკეთეს მდგომარეობაში მან დაუცველად დასტოვა თავისი ეტლი. ზვორიკინამ იგი დაუყოვნებლივ აიღო რის შემდეგ კაკაბაძე დანებდა. ვაფრინდაშვილმა ვერ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას კოლოტისთან და ყაიმზე შეთანხმდა.

### მეხუთე ტური

მაყურებელი მღელვარებით ადევნებდა თვალს ნ. ვაფრინდაშვილის პარტიას მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ლ. რუდენკოსთან. ნიჭიერმა გოგონამ მთელი ძალით ითამაშა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია პირველი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში ტოგონიძემ, რომელმაც დაამარცხა ლენინგრადელი სემიონოვა. კაკაბაძე ტიხომიროვასთან შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ დამარცხდა.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ ოსტატ კ. ზვორიკინას აქვთ 4,5 ქულა, ვ. ტიხომიროვას — 3,5 და ერთი გადადებული პარტია ნ. ვაფრინდაშვილს — 3,5 ქულა.

**ვ. ქარსელაძე,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

## „სპარტაკის" პირველობაზე

ხარკოვში, „კრასნოე ზნამიას" სპორტულ დარბაზში მოეწყო „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა თხუთმეტი რესპუბლიკის 200-ზე მეტი წარმომადგენელი. სამი დღის საინტერესო ბრძოლის შედეგად პირველ ადგილზე გამოვიდა უკრაინის გუნდი, მეორეზე — სომხეთი, მესამეზე — საქართველო.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი ჯილდოები.

**ს. ლოგინოვი**

# ვეტერანთა მატჩი



ფეხბურთის ვეტერანთა შეხვედრები ამ ბოლო ხანებში კარგ ტრადიციად იქცა.

ასეთი შეხვედრა მოეწყო წელსაც, 20 ნოემბერს. მაგრამ მას ამჯერად უფრო ორიგინალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან თბილისის „დინამოს“ 1940 წლის შემადგენლობა შეხვდა თავისივე ასაკის გუნდს, რომელიც დასავლეთ საქართველოს ქალაქების ფეხბურთელთაგან იყო დაკომპლექტებული. მსაჯიც ვეტერანი იყო — ს. სიხარულიძე (თბილისი).

დინამოელებმა შემდეგი შემადგენლობით დაიწყეს თამაში: დოროხოვი, კიკნაძე, შავგულიძე გაგუა, ჯორბენაძე, ჭელიძე, გ. ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პანიუკოვი, ანთაძე, ს. ჯეჯელავა (7 სპორტის დამსახურებული ოსტატი ერთ გუნდში!).

დასავლეთ საქართველოს ქალაქების ნაკრებ გუნდში იყვნენ: ნიჟარაძე (ქუთაისი), მინჯია (სოხუმი), კინწურაშვილი (ტყვარჩელი), ესაკია (სოხუმი), ხოფერია (ფოთი), ლომინაძე (სოხუმი), გაბუნია (ქუთაისი), ჩოლოყიანი (ბათუმი), ელიავა (ბათუმი), გერაძე (ქუთაისი), ნინუა (ქუთაისი).

დინამოელებმა ისე დაიწყეს თამაში, როგორც წინათ იცოდნენ ხოლმე — სწრაფად, გაშლილად, თამამად და სულ მალე პანიუკოვმა ანთაძის გადაცემიდან გახსნა ანგარიში. მაყურებელთაგან ბევრს ეგონა, რომ „დასავლეთელთა“ კარში ბურთიც ბურთს მოჰყვებოდა, მაგრამ სტუმრებმა მაშინვე მაქსიმალურად გაზარდეს ტემპი (რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მათი ხნოვანობისა და აგებულობისათვის) და „დინამოს“ განთქმული დაცვა იძულებული იყო მთელი თავისი ძველი ოსტატობა გამოეჩინა გაბუნიას, ნინუას, გერაძისა და სხვათა წინააღმდეგ. ორჯერ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში ყველაზე „მძიმე“ თავდამსხმელმა ელიავამ.

ტაიმის დასასრულს ნინუა მარჯვენა მხარეს გადავიდა და შორიდან მოულოდნელად დაარტყა კარში. ასეთ ბურთს თვით დოროხოვიც არ მოელოდა. 1:1. ბოლო წუთებში ნიჟარაძემ უკუაგდო ძნელი ბურთი, მაგრამ ანთაძემ ჩაიცა შეძლო მისი გატანა კარში — 2:1.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდში მოხდა ცვლილებები.

პანიუკოვმა, ს. ჯეჯელავამ და კვლავ პანიუკოვმა ანგარიში ხუთამდე აიყვანეს. „დასავლეთელებმა“ ერთხელ კიდევ სცადეს თავისი ახალგაზრდობის გახსენება და გერაძემ გაქვითა ერთი გოლი — 2:5, რის შემდეგ სიხარულიძემ „დინამოს“ კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა.

მაგრამ აქ ძველ პენალისტს ელიავას უმტყუნა ფეხმა. მან ძირითადი პენალტიც და განმეორებითიც, რომელიც დინამოელთა მიერ წესის დარღვევისათვის დაინიშნა, ძელს ზევით გაგზავნა.

სამაგიეროდ ბერძენიშვილს არ დავიწყებია 11-მეტრიანის დარტყმა და მან შეუცდომლად გამოიყენა იგი — 6:2.

დარჩენილ დროში კიკნაძემ და ლოლაძემ თითო ბურთიც გაიტანეს და ვეტერანთა ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 8:2.

**რ. ქორიძე**

* * *

**სურათზე:** ფეხბურთის ვეტერანები გ. ანთაძე, ა. ელიავა და გ. გაგუა თამაშის დაწყების წინ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მეგობრული შარჟი.



ვეტერანთა კაპიტნების — შავგულიძისა და ელიავას შეხვედრა.

ნახატი გ. ფირცხალავასი.

# ისევე, როგორც გასულ წლებში

თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდი დიდი ხანია ელის ადგილს „ა“ კლასში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ადგილის ღირსი გუნდი არაერთხელ იყო და არმიელები ყოველ წელს „ერთი ნაბიჯით“ არიან დაცილებული თავის საპატიო მიზანს, თუმცა ყველაზე საჭირო ქულები სწორედ ამ „ბოლო ნაბიჯზე“ იკარგება.

ასე მოხდა წელსაც. „ბ“ კლასის მეორე ზონის ორივე ლიდერი — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) და ოფიცერთა სახლი (თბილისი) დარჩენილი თითო თამაშის მოგების შემთხვევაში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ტაშკენტში, სადაც გადაწყდებოდა მთელი სეზონის სადაო საკითხი — ვინ ითამაშებდა 1957 წელს „ა“ კლასში.

უკანასკნელი მატჩი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს ჰქონდა გორკის „ტორპედოსთან“.

ყველაფერი საფუძველს იძლეოდა, რომ პროგნოზები თბილისელთა სასარგებლოდ ყოფილიყო. თამაში ასეც დაიწყო. არმიელებმა ფაქტიურად ცალ კარში წვრთნა ჩაატარეს პირველ ტაიმში და აუარებელი მომენტებიდან გოლით დაამთავრეს მხოლოდ ერთი — კურტანიძის (№ 10) გარღვევა. „ტორპედოს“ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჰქონდა ერთადერთი რეალური შესაძლებლობა და იგი ზუსტად გამოიყენა სილკინმა (№ 8).

შესვენების შემდეგ არმიელებმა უყურადღებოდ დატოვეს ფედოტოვი (№ 7), რომელმაც მეორე გოლი გაიტანა. მასპინძლებს სულ მალე მიეცათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ მელაშვილმა (№ 9) პენალტი ააცილა კარს. დარჩენილ დროში სილკინმა ისარგებლა მცველთა მიერ დატოვებული „დერეფნით“ და შორი მანძილიდან მესამე ბურთი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში — 3:1.

ამრიგად, ისევე, როგორც გასულ წლებში, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა სწორედ გადამწყვეტ ეტაპზე დაკარგა უაღრესად საჭირო ქულები.

**ნ. ცაგარელი**

# ახალი სპორტული ბაზა

ცაგერის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში სხვადასხვა წრეებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ სპორტული სექციებიც. ამას წინათ აქ გაიხსნა კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით, სარბენი ბილიკით, სახტომი ორმოებით, ბირთვის, ბადროსა და შუბის სატყორცნი სექტორებით.

ახლადგახსნილ მოედანზე მოეწყო შეჯიბრება ფრენბურთში რაიონის პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობდა 20-მდე ქალთა და ვაჟთა გუნდი.

ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნენ ცაგერის საშ. სკოლის ფრენბურთელები, ვაჟთა შორის გამარჯვება დაიმსახურა ლაჯანურჰესის მშენებელთა გუნდმა.

**ბ. ხეცურიანი**

# თეირანი—თბილისი

დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში თეირანისა (ირანი) და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის.

ირანელმა ფეხბურთელებმა თავისი პირველი მატჩი ჩაატარეს ერევანში, ადგილობრივ ნაკრებ გუნდთან. პირველი გოლი სტუმრების კარში გაიტანა მარჯვენა გარემარბმა დალაქიანმა. მალე ანგარიში იყო 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ტაიმის დასასრულს თეირანელებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა 11-მეტრიანი საჯარიმოდან, ხოლო შესვენების შემდეგ მარქარიანმა (რომელმაც შეცვალა სტუმრების ერთ-ერთი თავდამსხმელი) გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

# კვლავ „ა“ კლასში

დამთავრდა მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის. პირველ ზონაში ქულათა თანაბარი რაოდენობა (46) ჰქონდა სამ გუნდს: „ტორპედოს“ (ტაგანროგი), „სპარტაკს“ (მინსკი) და „მეტალურგს“ (ზაპოროჟიე), მაგრამ მინსკელებს დარჩენილი ჰქონდათ ერთი მატჩი, სადაც მათთვის საკმარისი იყო თუნდაც ერთი ქულის აღება პირველი ადგილის გასანაღდებლად. ეს ბოლო მატჩი მინსკის „სპარტაკმა“ ჩაატარა ლვოვის ოფიცერთა სახლის გუნდთან და დაამთავრა ფრედ — 1:1.

მეორე ზონაში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ სტალინაბადში დაამარცხა ადგილობრივი „კოლხოზჩი“ — 3:0 და 57 ქულით ზონაში გამოვიდა პირველ ადგილზე.

ამრიგად, მინსკის „სპარტაკი“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, რომლებიც გასულ წელს თამაშობდნენ „ა“ კლასში, კვლავ დაუბრუნდნენ უძლიერესთა რიგებს.

# თანაკლუბელთა შეხვედრა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში მოსკოვისა და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 მოსკოველთა სასარგებლოდ.

## პროფსაბჭოს თასზე

დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჭიათურის „მეტალურგისა“ და „ბურევესტნიკის“ (რუსთავვაჭრობა) გუნდები. მატჩი მოიგეს რუსთავის ფეხბურთელებმა ანგარიშით — 2:1. მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა ანგარიშით 5:1 დაამარცხა ავჭალის შამპანკომბინატის გუნდი.

საინტერესო გამოდგა ფინალი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ტტს-ისა და რუსთავის გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 2:2. დამატებით დროში რუსთავის გუნდმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანა კიდევ 2 ბურთი და შეხვედრა მოიგო ანგარიშით 4:2. ამრიგად, რუსთავის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელებმა (მწვრთნელი რ. მირიანაშვილი) მოიპოვეს საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო ჯილდო.



საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდი.




**სამართლიანი საყვედური ⊙ „ქულები“ კოცნისათვის ⊙ წვრთნა ოკეანის იქიდან ⊙ კლუბები სხვადასხვაგვარია**

პარიზში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება ძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ მწერლები და ჟურნალისტები. 1000 მეტრზე სტარტი აიღეს: ყოფილმა მსოფლიო რეკორდსმენმა 1500 მ დისტანციაზე ჟიულ ლიადუმეგმა (საფრანგეთი), ოლიმპიური თამაშების მრავალგზის მონაწილემ პაულ მარტინმა (შვეიცარია) და სხვებმა.

შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა 52 წლის ჟიულ ლიადუმეგმა, რომელმაც აჩვენა საუკეთესო დრო — 2.52,9.

აღსანიშნავია, რომ ლიადუმეგსა და მარტინს არაერთგზის მიუღიათ პრიზები სპორტსმენებზე დაწერილი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის. სარბენ ბილიკზე გამარჯვების შემდეგ გაზეთები წერდნენ: „დაუღალავი ლიადუმეგი ყოველთვის პირველ ადგილს იკავებს როგორც ლიტერატურულ კონკურსებზე, ისევე სარბენ ბილიკზე, ხოლო ზოგიერთი სპორტული ჟურნალისტი აუტსაიდერად რჩება ლიტერატურულ კონკურსებზე და სარბენ ბილიკებზე სრულებითაც არ გამოდის“. სამართლიანი საყვედურია!

* * *

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კორტინა დამპეცოში მსაჯები ყოველთვის როდი იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ეს ხშირად იწვევდა მონაწილეთა სამართლიან საყვედურებს და ზოგჯერ — პროტესტებსაც კი.

ახალგაზრდა ინგლისელმა მოციგურე ქალმა ივონე საგდენმა ამის შესახებ პიკანტურად განაცხადა:

— ევროპის პირველობაზე შეჯიბრების დროს ორი მსაჯი ორი ზედმეტი ქულის მოცემას დამპირდა, თუ მათ კოცნის ნებას დავრთავდი.

როგორც ჩანს, მსაჯებს არც ყინულიან მოედანზე ჰქონიათ ცივი გული.

* * *

საშუალო დისტანციებზე მორბენალ ინგლისელ ბ. ჰიუსონის მწვრთნელია ფრანგი შტამპფლი. ამას წინათ ეს ცნობილი მწვრთნელი ავსტრალიაში გაემგზავრა, სადაც მორბენლებს ამზადებდა ოლიმპიური თამაშებისათვის. მიუხედავად ამისა, შტამპფლი მაინც ხელმძღვანელობს ჰიუსონის წვრთნას ოკეანის იქიდან. მწვრთნელი მაგნიტოფონის ფირზე წერს თავის მითითებებს და აგზავნის ინგლისში. ამავე გზით ჰიუსონი მწვრთნელს აწვდის ინფორმაციებს თავისი საქმეების შესახებ.

* * *

ახლახან იაპონიაში გაიხსნა „ძალოსანთა“ კლუბი, რომელიც შედგება... პარლამენტის წევრებისაგან. კომენტარი გაუკეთა რა ამ მოვლენას, ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია კლუბის გახსნაზე შეკრებილი პარლამენტის წევრები.

გაზეთი წერს, რომ კლუბის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს პარლამენტის წევრებს „სიმსუქნის დაკლებაში და ხელი შეუწყოს მათი კუნთების განვითარებას პარლამენტში მომავალი დაძაბული მოღვაწეობისათვის“.

**რედაქტორი ი. უზულავა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01163